



მინიშება სასკოლო სავალდებულო სწავლების შესახებ ბრემენის ფედერაციაში

ძვირფასო მშობლებო,

ყოველი ბავშვი, რომელიც ბრემერჰავენის ნებისმიერ სკოლაში სწავლობს, ექვემდებარება ბრემენის სასკოლო წესდების 55-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ სასკოლო ვალდებულების კანონს. ეს სასკოლო ვალდებულება ვრცელდება მოსწავლეებზე კორონა ვირუსის მიერ გამოწვეული განსაკუთრებული სიტუაციის დროსაც. მიუხედავად იმისა რომ გაკვეთილების ჩატარება სკოლებში შეზღუდული რაოდენობითაა შესაძლებელი.

სასკოლო ვალდებულება შეიცავს როგორც სკოლაში ჩატარებულ გაკვეთილებს, ასევე სახლში/ოჯახში დიგიტალური სწავლების ფორმას და ასევე სკოლის ღონისძიებებზე დასწრების ვალდებულებას.

მოსწავლეები, რომელთაც ქრონიკული დაავადებები აქვთ ან სხვა მისაღები მიზეზის გამო ვერ დაიცავენ ჰიგიენურ ნორმებს, რომელთა დაცვაც კორონა ვირუსის გამო აუცილებლობას წარმოადგენს, შესაძლოა განთავისუფლდნენ სკოლაში გაკვეთილების დასწრებიდან.

მოსწავლე ასევე შესაძლოა განთავისუფლდეს გაკვეთილებზე დასწრებიდან, თუ მისი ოჯახის რომელიმე წევრი ქრონიკული დაავადების მატარებელია. ასეთ შემთხვევაში ექიმის ცნობა არ არის საჭირო. საკმარისია თუ მშობელი ხელწერილის სახით სკოლის დირექციას აცნობებს ასეთი შემთხვევის შესახებ. თუმცა სკოლის გაკვეთილებიდან განთავისუფლება არ ნიშნავს სასკოლო სწავლების ვალდებულებიდან განთავისუფლებას. თქვენი შვილი აგრძელებს სახლში დიგიტალურ სწავლებას.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება შემდეგ წესს:

არავითარ შემთხვევაში არ გაიცემა თანხმობა სასკოლო არდადეგების ადრეულად დაწყების ან მოგვიანებით დამთავრების შესახებ. ეს წესი ვრცელდება 2020 და 2020/2021 სასწავლო წლის აბსოლიტურად ყველა არდადეგების ხანგრძლივობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი შვილი უშუალოდ არდადეგების დაწყების წინ ან არდადეგების დამთავრებისთანავე ავად გახდომის გამო გაკვეთილებს სკოლაში ვერ დაესწრება, თუნდაც ერთი დღით ადრე ან ერთი დღით გვიან, აუცილებლად უნდა წარუდგინოთ სკოლის დირექციას ექიმის ცნობა. მშობლის მიერ დაწერილი ცნობა ბავშვის ავად გახდომის შესახებ არ მიიღება!

ასევე თუ თქვენი შვილი ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე სკოლაში არ ცხადდება, ამით არღვევთ ბრემენის სასწავლო ვალდებულების 65-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ კანონს და ისჯებით ფულადი ჯარიმის სახით. ფულადი ჯარიმა ორიენტირებულია და ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ თითოეულ ბავშვზე დახმარების სახით გაცემული თანხის რაოდენობას (204 ევრო).

გთხოვთ მიაქციოთ ამ წესებს ყურადღება და გაითვალისწინოთ.

ბრემერჰაფენის განათლების განყოფილება, 05.06.2020